ოქმი:**ო63.63212112**
თარიღი:**30/07/2021**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის

ო ქ მ ი N 13

ქ. სამტრედია. 29 ივლისი, 2021 წელი.

2021 წლის 29 ივლისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, კობა ძიძიგურის, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, ბადრი შენგელია, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ვაჟა სტურუა, ზაზა ადეიშვილი, კოტე ნაცვლიშვილი, დავით ამაღლობელი, გრიგოლ ჩიგოგიძე, ტარიელ თევზაძე (ონლაინ ჩართვა), ვახტანგ დუნდუა, ვაჟა კოხრეიძე, ბაია იმესაშვილი, ავთანდილ ტორონჯაძე (ონლაინ ჩართვა), ლიზა კრავეიშვილი, ნონა გოგისვანიძე, ავთანდილ თადუმაძე, დავით ნიკოლეიშვილი (ონლაინ ჩართვა), ავთანდილ სტურუა (ონლაინ ჩართვა), აკაკი მინაშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, ზურაბ გოგია.

2. შპს ,, სამტრედიის მაცნე''-ს კორესპოდენტი, თეა ბაბუნაშვილი.

3. ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი, ხელმძღვანელი, სოფიო კირთაძე.

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთულის ხელმძღვანელის, აპარატის უფროსის მ/შ, ნორა იანიკოვი.

5. ტელე კომპანია ,,ზარი''-ს წარმომადგენლები.

თავმჯდომარემ სხდომის წევრებს აცნობა, რომ სხდომას, ონლაინ რეჟიმში, ჩაერთვებიან: ტარიელ თევზაძე, ავთანდილ ტორონჯაძე, დავით ნიკოლეიშვილი და ავთანდილ სტურუა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ივნისის თვის ბიუჯეტის

შესრულების ანალიზის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: შ.არზუმანიანი/

2. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი 4 პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ: დ.ამაღლობელი/

3. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი 33 პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ: დ.ამაღლობელი/

4. ,,2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ: დ.ამაღლობელი/

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.სირბილაძე/

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.სირბილაძე/

7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივლისის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: სოციალური სამსახურის უფროსი: ლ.ახობაძე/

8. სხვადასხვა

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (21 ხმით), დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ივნისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის N62-622118948 08/07/2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ინფორმაციას, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ივნისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ. აღნიშნა, რომ 2020 წლის 18 დეკემბრის N17 დადგენილებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი, თანხით 14203,0 ათასი ლარის ოდენობით.

დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტის ოდენობა განისაზღვრა 190,0 ათასი ლარით, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა - 9409,5 ათასი ლარით.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ივნისის თვის შემოსავალმა შეადგინა 8559,7 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 64,7 %-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 8470,9 ათასი ლარი, რაც ივნისის თვის გეგმის 64,2 %-ია, აქვე უნდა ავღნიშნოთ , რომ დ.ღ.გ. საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 4333,2 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 88,3%-ით, ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 38,6 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 71,7%-ით.

დაადგინეს: ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ივნისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ, მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, დავით ამაღლობელმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი 4 პროექტის მოწონების შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის ***2021 წლის 22 ივლისის*** N 62-622120388, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი 4 პროექტის მოწონების საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მოწონებულ იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი 4 პროექტი (დანართი №1 თან ერთვის).

		პროექტის ღირებულება (ლარი)	შენიშვნა

№	პროექტის დასახელება	სულ	მ.შ.თანადაფინა ნსება	(რეგიონალური ფონდიდან მოთხოვნილი თანხა)
	1	2	3	7
1	სოფ. ჩხენიშში N1 ქუჩის და პირველი ჩიხის ასფალტ- ბეტონის საფარის მოწყობა	98,122	0	98,122
2	სოფ. ჩხენიშში N7 ქუჩაზე ასფალტ- ბეტონის საფარის მოწყობა	57,677	0	57,677
3	სოფ. ნინუაკუთხეში N8 ქუჩაზე ასფალტ- ბეტონის საფარის მოწყობა	81,431	0	81,431
4	სოფ. ნინუა კუთხეში N9 ქუჩაზე ასფალტ -ბეტონის საფარის მოწყობა	221,472	0	221,472

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (21 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი 4 პროექტის მოწონების შესახებ''.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, დავით ამაღლობელმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი 33 პროექტის მოწონების შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის ***2021 წლის 26 ივლისის N*** 62-622120717 , წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი 33 პროექტის მოწონების საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მოწონებულ იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი 33 პროექტი (დანართი №1 თან ერთვის).

		პროექტის ღირებულება (ლარი)		

№	პროექტის დასახელება	სულ	მ.შ.თანადაფინა ნსება	შენიშვნა (რეგიონალური ფონდიდან მოთხოვნილი თანხა)
	1	2	3	7
1	დავით ხუჭუას ქუჩაზე (ყოფილი რობაქიძის IVჩიხი) ასფალტ- ბეტონის საფარის მოწყობა	26000	0	26000
2	დიდგორის მე-6 ჩიხში ასფალტ- ბეტონის საფარის დაგება	60000	0	60000
3	ქ. სამტრედიაში, ამირან კალაძის N3; N4; N5; N6; N6ᵃ; N8 ჩიხებში და N1; N3 N5 შესახვევში ასფალტ - ბეტონის საფარის დაგება	339728	0	339728
4	სოფ. დიდი ჯიხაიშში სერგეთის მინდვრის მიმდებარე გზა ჩიხით ასფალტ- ბეტონის საფარის დაგება	263694	0	263694
5	დაბა კულაშში რაზმაძის ქუჩიდან სოფ. მიწაბოგირის მიმართულებით ასფალტ - ბეტონის საფარის დაგება	187155	0	187155
6	ქ. სამტრედიაში, წინსვლის მე-3 ჩიხში ასფალტ ბეტონის საფარის დაგება	67000	0	67000
7	ქ. სამტრედიაში, ერისთავის ქუჩაზე (გეოლოგების კორპუსის გვერდით) გზის რეაბილიტაცია	77635	0	
8	ქ. სამტრედიაში, ერისთავის ქუჩის პირველ ჩიხის ასფალტ- ბეტონის საფარის მოწყობა	14916	0	14916
9	ეწრის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ახალსოფელში ბორანთან მისასვლელი გზის პარალელურ ქუჩაზე ასფალტ- ბეტონის საფარის დაგება	160000	0	160000
10	სოფ. დიდი ჯიხაიშში N29 ქუჩის მოასფალტება	88000	0	88000
11	ქ. სამტრედიაში ძმები გოგიების ქუჩაზე ასფალტ- ბეტონის საფარის დაგება	18000	0	18000
12	დაბა კულაშში მეგობრობის და კოსტავას ქუჩებზე ასფალტ- ბეტონის საფარის მოწყობა	83250	0	83250
13	სოფ. ნაბაკევში ტაძრის სამხრეთ და აღმოსავლეთ მხარეს ასფალტ- ბეტონის საფარის დაგება	129500	0	129500
14	ქ. სამტრედიაში დ. აღმაშენებლისა და რუსთაველის ქუჩის დამაკავშირებელ გზაგამტარ ხიდზე ახალი ასფალტ- ბეტონის საფარის მოწყობა ძველი ფენის აფრეზვით	110000	0	110000
15	ქ. სამტრედიაში კოსტავას ქუჩაზე არსებული ვ. კოპალეიშვილის სკვერის მიმდებარე მოედანზე ასფალტ -ბეტონის საფარის მოწყობა	120000	0	120000
16	სოფ. მიწაბოგირაში ჭაგნის გადასახვევიდან	130000	0	130000

	პირველი მიწაბოგირის მიმართულებით ასფალტ -ბეტონის საფარის მოწყობა			
17	ქ. სამტრედიაში, არაყიშვილის ქუჩაზე ასფალტ- ბეტონის საფარის მოწყობა	152000	0	152000
18	ქ. სამტრედიაში, N8 საჯარო სკოლასთან მგზავრთამოსაცდელთან მისასვლელი გზის მოწყობა ასფალტ -ბეტონის საფარის მოწყობა	8325	0	8325
19	ქ. სამტრედიაში ელიავას I ჩიხის მოასფალტება	38000	0	38000
20	ქ. სამტრედიაში, ძვ. სამტრედიის ქუჩის მე-2 შესავევში ასფალტ -ბეტონის საფარის დაგება	22800	0	22800
21	საჯავახოს ადმ. ერთეულის სოფ. ნიგორწღვაში დამცავი კედლის მოწყობა	71822	0	71822
22	გომის ადმ. ერთეულში ე.წ. უსახელო ღელეს ხეობაში ორ ლოკაციაზე გაბიონის მოწყობა	250000	0	250000
23	ქ. სამტრედიაში თავისუფლებისა და ძმები კრავეიშვილების კვეთაზე არსებული მინი სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები	75625	0	75625
24	ქ. სამტრედიაში გამსახურდიას N3 ბინის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მინი სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები	113727	0	113727
25	ქ. სამტრედიაში ტუღუშის ქუჩაზე არსებული მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები	76652	0	76652
26	ქ. სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩაზე N8 ბინისა და N10 ბინას შორის არსებული სკვერის რეაბილიტაცია	82213	0	82213
27	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. ღანირის ცენტრში სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალის სარეაბილიტაციო სამუშაოები	9557	0	9557
28	სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმ. შენობის შესასვლელი კიბისა და მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები	12003	0	12003
29	სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეწრის ადმ. ერთეულში სოფ. ოჭოფაში ე.წ. წყაროსთავზე სკვერის მოწყობის სამუშაოები	29443	0	29443
30	ქ. სამტრედიაში ნიკოლეიშვილის და 9 მაისის ქუჩის კვეთის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა	95125	0	95125
31	ქ. სამტრედიაში რუსთაველის N23 ბინის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მინი სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები	90500	0	90500
32	ქ. სამტრედიაში თამარ მეფის ქუჩაზე არსებული სკვერის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები	250000		250000
33	ქ. სამტრედიაში მოედნის მიმდებარე სკვერში ჩასატარებელი სამუშაოები	80000		80000

დავით ამაღლობელმა აღნიშნა, რომ პროექტის დანართი მე-4 პუნქტში, ტექნიკური მიზეზთა გამო, არ იყო მითითებული თანხა. ზურაბ გოგიას განმარტებით ,,სოფ. დიდი ჯიხაიშში სერგეთის მინდვრის მიმდებარე გზა ჩიხით ასფალტ- ბეტონის საფარის დაგება'' განისაზღვრება 263694 -ის ოდენობით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (21 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი 33 პროექტის მოწონების შესახებ''.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, დავით ამაღლობელმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის ***2021 წლის 26 ივლისის*** N 62-622120753, წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება ,,2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხს. ცვლილების მიხედვით, სოფელ ჩხენიშში სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციის ნაცვლად განხორციელდება სკვერის შემოღობვა და კეთილმოწყობა, ხოლო სოფელ ბაშში სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის სამუშაოები საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შეასრულა არასამეწარმოე (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"-მ, რის გამოც სამუშაოებზე განსაზღვრული თანხა 4875 ლარი მიემართება სოფელ ბაშის გარე განათების მოწყობაზე.
აზრი გამოთქვეს: ტარიელ დვალიშვილმა და კობა ძიძიგურმა.
ტარიელ დვალიშვილი - ბატონო ზურაბ, მინდა გადმოგცეთ 9 სართულიანი საცხოვრებელი ბინის მობინადრეთა მადლობა, გარე ფასადის მოწესრიგებასთან დაკავშირებით. მაგრამ აქვე მინდა მოგმართოთ თხოვნით, აღნიშნულ კორპუსში მოსაწესრიგებელია წყალ-კანალიზაციის სისტემა. ძალიან რთული მდგომარეობაა და იქნებ გათვალისიწნებული იქნა უახლოეს მომავალში. რაღაცით შევეშველოთ მოსახლეობას, იქნებ ამოტუმბვითი სამუშაოები მაინც ჩატარდეს.
ზურაბ გოგია - შენობების რეაბილიტაციასთან დაკავშირებთ, მუნიციპალური განვითარების ფონდთან მერიის მიერ პირველ რიგში დაყენებული იქნა მოთხოვნა იყო ბინების გადახურვა, ფასადების მოწყობა და წყალ-კანალიზაციის სისტემის მოწესრიგება. წყალ-კანალიზაციის სისტემა უნდა გამოტანილიყო გარეთ, მაგრამ ჯერ-ჯერობით აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე სახის გადაწყვეილება არ არის მიღებული. რაც შეეხება ამოტუმბვას, ეს არის ერთჯერადი საქმე. კომუნიკაციები თუ არ მოწესრიგდა ეს პრობლემა მუდმივად იქნება.
კობა ძიძიგური - მინდა ბატონი ტარიელის სამადლობელი გავაგრძელო და ბატონ ზურაბს მადლობა ვუთხრა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საკონსულტაციო საბჭოს სხდომებზე იხილება მუნიციპალიტეტიების მიერ წარმოდგენილი პროექტები. თითქმის ყველა მუნიციპალიტეტს განსახილველად წარმოდგენილი აქვს ორი ან მაქსიმუმ 5 პროექტი. ჩვენდა

სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სამტრედიას წარდგენილი აქვს 37 პროექტი. სხვა მუნიციპალიტეტებს შორის ლიდერი პოზიცია გვიჭირავს. ეს ბატონი ზურაბის სამსახურის კარგი მუშაობის დამსახურებაა. რისთვისაც მადლობა მათ.
ზურაბ გოგია - უახლოეს სხდომაზე წარმოვადგენთ კიდევ 11 პროექტს.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (21 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძე, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის გიორგი ლეჟავას განცხადება. განმცხადებელი ითხოვს 2021 წლის 10 ივლისიდან კუთვნილ, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლას. კომისიის თავმჯდომარის მოვალეობა ეკისრება ამავე კომისიის წევრს, ტარიელ დვალიშვილს.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, გიორგი ლეჟავასთან,** 2021 წლის 10 აგვისტოდან შეჩერდეს სამსახურეობრივი ურთიერთობა, ანაზღაურებადი შვებულების ვადით, 24 სამუშაო დღით.

- **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან,** სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების გამო, **შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის** მოვალეობის შესრულება დაევალოს საკრებულოს წევრს, ტარიელ დვალიშვილს.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (21 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ''.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძე, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,სამტრედიის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მანანა სირბილაძის, განცხადება. განმცხადებელი ითხოვს 2021 წლის 2 ივლისიდან კუთვნილ, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლას. კომისიის თავმჯდომარის მოვალეობა ეკისრება ამავე კომისიის წევრს, ლიზა კრავეიშვილს.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, მანანა სირბილაძესთან, 2021 წლის 2 აგვისტოდან შეჩერდეს სამსახურეობრივი ურთიერთობა, ანაზღაურებადი შვებულების ვადით, 24 სამუშაო დღით.

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების გამო, საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაევალოს საკრებულოს წევრს, ლიზა კრავეიშვილს.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 21-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (21 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ''.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ლევან ახობაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო ანგარიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივლისის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო ანგარიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივლისის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ. აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამების დაგეგმილი ბიუჯეტი შეადგენს 987 200 ლარს, 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით სამტრედიის მუნიციპალიტეტში შემოვიდა 2200- მდე განცხადება, დახმარება პროგრამების მიხედვით გაეწია 1830 ბენეფიციარს, ხარჯი შეადგენს 535 000 ლარს.

1. ახალშობილთა დახმარება (მუხლი 5) -120 ბენეფიციარს.
2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (მუხლი 14) -120 ოჯახი, ყოველთვიური.

3. სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის თანხა (მუხლი 10) -7.
4. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების ფინანსური დახმარება; (მუხლი 7) – 3.
5. მარტოხელა მშობელთა დახმარება (მუხლი 2) -17.
6. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება; (მუხლი 1), -831.
7. ასი წლის და მეტი ასაკის უხუცეს დღეგრძელთა დახმარება; (მუხლი 6)—2.
8. შშმ პირების ფინანსური დახმარება; (მუხლი 16)- 282.
9. სოციალურად დაუცველი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ფინანსური დახმარება (მუხლი 18) -1.
10. მიცვალებულთა სარიტუალო ხარჯების დაფინანსება; (მუხლი 9) -- 12.
11. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) სოციალური დახმარება (მუხლი 8) -70.
12. ჩერნობილის ატომური ელექტრო სადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა ფინანსური დახმარება; (მუხლი 11) - -46.
13. სტუდენტების დახმარება; (მუხლი 3) -- 22.
14. ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში; (მუხლი 17. 2, 3 პუნქ) -100.
15. დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარება (ტრანსპორტირებისათვის) (მუხლი 12) -50, ყოველთვიური.
16. დედმამით ობოლ ბავშვთა ფინანსური დახმარება; (მუხლი 4) -15, ყოველთვიური.
17. ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით და დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება; (მუხლი 13) -80, ყოველთვიური.
18. ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში; (მუხლი 17. 1 პუნქ) – 25, ყოველთვიური.
19. აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია (მუხლი 25) -22, ყოველთვიური.
20. სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ბინის ქირის გადასახადი . (მუხლი 20) -5, ყოველთვიური.

აღნიშნულის გარდა **18 წლამდე ასაკის შეზღუდული შეაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა. (მუხლი 21) (სუბსიდიის სახით)** პროგრამით დღის ცენტრ ლამპარს, ვუფინანსებთ კომუნალურ და ტრანსპორტირების ხარჯებს, ასევე ხდება წითელი ჯვრის თანადაფინანსება.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ლეჟავამ, ლიზა კრავეიშვილმა, ტარილე დვალიშვილმა, კობა ძიძიგურმა,

გიორგი ლეჟავა - გამგეობაში სოციალური სამსახური ერთ-ერთი სერიოზულიდა საპასუხისმგებლო სამსახური გახლავთ. ერთგვარი კმაყოფილების გრძნობით მინდა ვთქვა, რომ აღნიშნულ სამსახურთან მაქვს საკმაოდ მჭიდრო კომუნიკაცია. პიროვნებები, რომლებიც იქ მუშაობენ არიან პროფესიონალები თავიანთი საქმის, რასაც მე წლების განმავლობაში ვუყურებ. პირველ რიგში ყველანაირად ცდილობენ რომ პროგრამები განაახლონ. 1 200 000 ბიუჯეტი იყრის თავს და ამუშავებენ. ოპერატიულობა, პროფესიონალიზმი, გულისხმიერება და საქმისადმი სწორი მიდგომა ახასიათება ამ სამსახურს და მთლიანად პერსონალს. ჩვენ გვევალება კონტროლი მათ საქმიანობაზე და შემიძლია ვთქვა, რომ ყველა თეთრი მიზნობრივად იხარჯება.

ლიზა კრავეიშვილი - თანამდებობრივად, როდესაც გამგებლის მოადგილე ვიყავი და

ჩემს სფეროს წარმოადგენდა აღნიშნული სამსახური დაკომპლექტებულია ძალიან სერიოზული ადამიანებით. მათი საქმიანობა იმსახურებს მადლობას გაწეული საქმიანობისათვის.

ტარიელ დვალიშვილი - მე კომისიის სხომაზეც დავაფიქსირე ჩემი მოსაზრება და დღესაც გავიმეორებ, რომ სამსახური ზედმიწევნით კარგად ასრულებს თავის უფლება-მოვალეობას. სამსახურის უფროსის ხელმძღვანელობით მთლიანად მთელს კოლექტივს მადლობას მოვახსენებთ.

კობა ძიძიგური - მთელი საკრებულო შეუერთდება ამ სამსახურის მიმართ მადლიერებას. ისინი პანდემიის დროს მუხლჩაუხრელად მუშაობდნენ. უშუალო ურთიერთობა ქონდათ ინფიცირებულ ადამიანებთან და როცა მათ უჭირთ ისინი ახერხებენე მშვიდად, წყნარად და მაღალ პროფესიონალურად პრობლემის მოგვარებას.

დაადგინეს: ანგარიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახურის 2021 წლის 1 იანვრიდან 30 ივლისის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ, მიღებულია ცნობად.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

კობა ძიძიგური

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი